№ 30
ოთხშაბათი, 9 თებერვალი, 1900 ს.

1877—1900

ივერია

№ 30
ოთხშაბათი, 9 თებერვალი, 1900 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
ГАЗЕТНЫЙ ДЕНЬ
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიის
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., შეოთხეზედ—8 კაპ.

ГАЗЕТНЫЙ ДЕНЬ:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ИВЕРІИС" ТЕЛЕФОНИ № 227

„ИВЕРІИС" ТЕЛЕФОНИ № 227

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 10 თებერვალს 1900 წ.

ბენეფისი
ვლ. ალექსი-მესხიშვილისა

ქართულის დრამატიულის საზოგადოების არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება

ედმონდ კინ

დრამა 4 მოქმ. თხზ. დიუმასი თარგ. ვ. გუნიას-მიერ

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი

ადგილების ფასი საბენეფისაო. დასაწყისი 8 საათზე.

რეჟისორნი ვ. აბაშიძე და ძ. მესხი.

ქ. ქუთაისში
კბილის ექიმი
სალომე ი. კერესელიძე

მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9 საათიდგან საღამოს 6-მდე. მიხეილის ქუჩა, შნეიდერის სახლები. (30—147—29)

ქართველ ქალთა სამკერვალო

მიიღებს კაბებს შესაკერად.

იქვე მიიღებენ შეგირდებს: ღარაბებს მუქთად, ხოლო დანარჩენთ თითო მანეთი უნდა გადახადონ.

მსურველთ შეუძლიათ ჩაეწერენ ეკა-კერვის კურსებზედ.

საპრიზოა გამოცდილი ტანისამოსის მკერავი ქალი სამკერვალოსათვის.

სამკერვალო შეკეთილ საქმეს პირიანად და დროზედ ასრულებს.

ადგილი: ბარნოს ქუჩა, № 12.

ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის
მიხეილ გედეონიშვილისა
ავადმყოფებს იღებენ ყოველდღე
გაჩირა დღეებს გარდა
დილით:

ვ. ი. ჯიჯინაძე.—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

ბ. ბ. მაღალაშვილი—შინაგანი—9—10 საათ.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10½—12 საათ.

ე. ბ. ბაუდელინი. 11—12 ს. ყოველ დღე, გარდა შაბათისა შინაგანი და ბავშვების ავად.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 12—1 საათ.

ვ. ლ. მარკეზიჩი—12—1 საფოსტალერო. სამშაბ. 3—4.

ი. დ. გეგთაბეგოვი—საფეიდისა, კანისა და სიფილისა—1½—2 საათ.

ბ. ა. ბედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—1—2 საათ.

საღამოთი:

დ. ა. ბედევანიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა—5—6 საათ.

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი—მორიგებით.

ბაგეა, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საკანისშვილისა, № 21 (ჯარანგოზის ძველის პირდაპირ).

დირექტორი სამკურნალოსი ბ. ა. ბედევანიშვილი

ექიმი
კ. ი. გელეიშვილი

მიიღებს
ყელისა, ცხვირისა და ყურით
ავადმყოფებს.
დილ. 9—11 ს., საღამოზე 5—7 ს.
მიხეილის ქუჩა, ნენენცების ეკლესიის პირდაპირ, Михайловская, противъ церкви.
(100—31—94)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძველის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილობითი:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტალერო, ვენერიული (სიფილისი) ტ. საშარდეს ავადმყოფთანი.

ა. ბ. ბაუდელინი. 11—12 ს. ყოველ დღე, გარდა შაბათისა შინაგანი და ბავშვების ავად.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 12—1 საათ.

ვ. ლ. მარკეზიჩი—12—1 საფოსტალერო. სამშაბ. 3—4.

ი. დ. გეგთაბეგოვი—საფეიდისა, კანისა და სიფილისა—1½—2 საათ.

ბ. ა. ბედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონიანი—1—2 საათ.

საღამოთი:

ბ. ა. ბედევანიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა—5—6 საათ.

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი—მორიგებით.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7—7½ საათ.

ვ. ვ. მახვილაძე—ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ო. ტ. არეანიტაკი—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცერის ყვავილს ტ. გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმების დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (—1—ფ).

ქ. ბათუმში დარსებული
ძმ. ჩილინგირიანის
კანტორა

უცხადებს კავკასიის საზოგადოებას, რომ ჭაიდის
აბრეშუმის თესლს

ბალდადის ტეფრისა და საფრანგეთის ყვითელს პირველ ხარისხის პარკისას, თესლები ბანდეროლიანი, დაბეჭდილი და შეფოწმებული საბრუშუმო სადგურის მიერ. (7—32—3)

ახალი ამბავი

—

1898 წელს ფალკის ნორმალიურ სასწავლებლის ზედამხედველმა სიხოვა კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას გაეგზავნათ შისთვის იარაღი, რაც-კი სამეცნიერო-ლოგიო სადგურისათვის საჭიროა. ამის გამო სამეურნეო საზოგადოება შეჭიროხეია ტფილისის საფიზიკო ობსერვატორიას, რომელსაც საჭიროდ უცვნია ბორჩალოს მაზრის ფალკის მინდორზედ სამეტეოროლოგიო სადგურის გამართვა იმის გამოსარკვევად—რა კავშირი აქვს მიწისძვრას ტარიოსის ავკარგიანობასთან. საფიზიკო ობსერვატორიას უთხოვნია სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისათვის ამ ხანად გაეგზავნოს ფალკის ნორმალურს სასწავლებლის ზედამხედველისტერმომეტრი, ფლიუგერი და სხვა საჭირო იარაღები. ამას დიდი მნიშვნელობა ექმნება იმ მთიან უშველებელ ვაკის ჰავა-ნიადაგის გამოსარკვევად, რომელზედაც ამ ჟამად 30 ათასი მცხოვრებელია დასახლებული.

განიხილა რა ბ-ნი ი. სტეკლოვი და კონსტ. ვალის მოხსენება ქალაქის ქუჩების მოსაკირწყლავ ქვის მოტანის ფასი, ქალაქის გამგეობამ დადგინა: მოიკირწყლოს სასახლისა და მადათოვის კუნძულის, ხიდსა და ხიდს შუა ქუჩა ქუთაისის გუბერნიის გელეთის ოთხ-კუთხიან ქვით საკეთელად. ამ დადგენილების თანახმად ქალაქის გამგეობა შეეკრა მოიჯარადრეებს პირობით, რომლითაც ხსენებულ ქუჩებისათვის საჭირო ქვა უნდა მოტანონ გელათიდგან ამ რიგად: ამა წლის 15 მარტამდე 200 კ. საკენი ოთხ-კუთხი ქვა; შემდეგ ყოველს თვის 15 რიცხვამდეც—ამდენივე ქვა; ასე რომ მთელის საჭირო მასალის ზიდვა უნდა დამთავრონ ამ წლის 15 ივნისამდე.

ავსტრი-უნგრეთის საელჩომ კავკასიის სამპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას ცნობები მოსთხოვა იმის შესახებ, დამისახელეთ ვინ არიან ამ ჟამად კავკასიაში საუკეთესო ვაჭრები და ფირმები, რომელთაც გაეაქვთ ინგლისში ბამბის თესლიო. ეს ცნობები უთხოვნია საელჩოს ავსტრიის ერთის დიდის ფირმისათვის, რომელსაც აზრად ჰქონია გაიწიროს ხოლმე კავკასიიდ გან ბამბის თესლი.

ქალაქის განცხადებათა ბოძებს მოიჯარადრეს ს. ეგანოვს უთხოვნია ქალაქის გამგეობისათვის, რომ რადგანაც საგანცხადებო ბოძები მეტად დაძველდა, ასე რომ უბრალო ქარის ამოვარდნაც საკმარისია ბოძების წასაქცევადაო, ნება მომეცით ძველის ბოძების მაგივრად ახალი ბოძები დავდგაო. ბ-ნს ეგანოვს თხოვნასთან გამგეობისათვის წარუდგენია გეგმა იმ მიმოსაბრუნებელ რკინის საგანცხადებო ბოძებისა, რომელთა გამართვაც განუზრახავს აწინდელის ბოძების ნაცვლად.

სამთო დეპარტამენტში გარდაუწყვეტიათ, ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიების ზოგიერთი ადგილები გეოლოგიურად გამოიკვლიონ, რადგანაც ფიქრობენ, რომ იმ ადგილებში ნავთია.

ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურობის დეპუტატთა საკრებულოს დარბაზზე 15 თებერვალს, დილის 10 საათზედ, დანიშნულია ბორჩალოს მაზრის თავად-აზნაურთა კრება.

რკინის გზის გამგეობას 7,000 მ. გადაუდვია რკინის გზის 10 სადგურზედ სურსათის საწყობის გასამართავად.

ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობას აზრადა აქვს ამ გზის ზოგიერთ სადგურებში გააფართოვოს წელს მოსამსახურეთა სადგომები და ააგოს აგრეთვე რამდენიმე ახალი სადგომიც. ამ საქმისათვის გამგეობას 200,000 მანეთი გადაუდვია.

მეურნეობის დეპარტამენტის განკარგულებით მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს მოხელეებს გაეგზავნათ პროგრამები, რომლებითაც მათ უნდა წარუდგენონ დეპარტამენტს ცნობები ამ წლის მოსავლის შესახებ. ამავე პროგრამაში მათ უნდა აღნიშნონ ის მიზეზებიც, რომლებსაც ამ უკანასკნელ წლებში პურის მოუსავლობა გამოუწვევია. ეს ცნობები ყოველის ადგილის შესახებ უნდა ცალცალკე იქმნას შედგენილი.

ტფილისის ქალაქის გამგეობის ამშენებელ განყოფილებაში შეუმუშავებიათ სახლებისა და სხ. შენობების აგების სავალდებულო დადგენილებათა პროექტი, რომელიც ახლო მომავალში ქალაქის საბჭოს წარედგინება განსახილველად.

ხუთშაბათს, 10 თებერვალს, სამხედრო შტაბის დარბაზში სამთო ინჟენერი ვ. ნ. ვებერი წაიკითხავს საჯაროდ მოხსენებას ახალქალაქის მაზრაში წარსულის წლის 19 დეკემბერს მომხდარ მიწის-ძვრის შესახებ. მოხსენების წაკითხვას ყველას შეუძლიან დაესწროს.

ტფილისის გუბერნიის საქალაქო საქმეთა საკრებულოს თავისს უკანასკნელს კრებაზედ დაუდგენია, სხვათა შორის, გაიუქმოს ქ. გორის თვით-მართველობის გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ გარდასახადი დაედოთ იმ ურმებს, რომლითაც ამ ქალაქში სხვა და სხვა სანოვაგე შემოაქვთ გასასყიდათ.

ამ რამდენისამე ხნის წინად ადგილობრივმა გაზეთებმა ლაპარაკი აღძრეს იმის შესახებ, რომ კავკასიაში დაწესებულ იქმნას ახალი თანამდებობანი აგრონომებისა. ამ აგრონომებისა ვალდებულება ის უნდა ყოფილიყო, რომ მათ სოფლის მცხოვრებთათვის ესწავლებინათ საუკეთესო წესი სასოფლო-მეურნეობის წარმოებისა. ეხლა, როგორც „ტფ. ფურც." იუწყება, ამ საგნის შესახებ მთავრობას ხელ-ახლა აღუძრავს ლაპარაკი, მხოლოდ აზრადა აქვთ, აგრონომების ნაცვლად, მებაღეთა თანამდებობანი დაწესონ.

რადგანაც ამ ბოლოს დროს ტფილისში ბევრი საკლავი საქონელი მორეკეს, ქალაქის გამგეობაში ლაპარაკი აღუძრავთ იმის შესახებ, რომ ხორცის ნიხრს დაუკლონ.

როგორც გვატყობინებენ, სოფ. არტოზანში (თელავის მაზრა) საქონლის ჭირი საშინლად მძვინვარებს თურმე. ყოველგვარი ღონისძიება ყოფილა ნაბმარი იმის წინააღმდეგ, მაგრამ ჯერ ვერ მოუსპიათ.

ბაქოს ნავთის მწარმოებელთა შუამდგომლობით სამთო უწყებას განუზრახავს სხოოვის მთავრობისაგან საჭირო ფული იქმნას გადადებული ბაქოს ახლო-მახლო მდებარე ტბების ამოსაშრობად. როგორც ჰფიქრობენ, ამოსაშრობ ადგილებში ბევრი ნავთი უნდა აღმოჩნდეს.

როგორც „ცნ. ფურც." გაუგონია, ტფილისში ახლად დანიშნული გერმანიის ელჩი ბ-ნი ობერგი

შესდგომია ქართულის ენის შესწავლას, რისთვისაც ყველა საჭირო წიგნები შეუძენია. ბ-ნს ობერგს როგორს ფილოლოგს, რომელსაც გერმანულს ენაზედაც ჰქონია ფილოლოგიური გამოკვლევანი, განზრახვა აქვს თურმე ქართულ გრამატიკას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს.

⁂ როგორც „ცნ. ფურც.“ ატყობინებენ, ქუთაისის საგუბერნიო მმართველობას გადაუწყვეტია გამორიცხოს რაჭის მაზრის ამბროლაურის საზოგადოებიდან სოფლები: ვეღვები, შხივნი, ბეთლეემი, ზემო-კრიხი და კვირიკეწინდა. ამ სოფლებიდგან ცალკე სასოფლო საზოგადოება იქმნება შემდგარი.

⁂ ქ. განჯა. 6 თებერვალს განჯის სამოქალაქო თეატრში გაიმართა ჩვეულებრივი ქართული საღამო, რომელსაც დიდძალი საზოგადოება დაესწრო. პირველ განყოფილებას შეადგენდა ერთ მოქმედებიანი კომედია „ჯოჯოხეთის მუგეზანი“, რომელშიაც სიდედრის როლს თამაშობდა ნიკიერი არტისტი ქალი გაბუნიანაკაგარლისა. საზოგადოება აღტაცებით მიეგება მას და საჩუქრები მიართვა. მეორე განყოფილებაში იმღერა ბ-ნ ფალიაშვილის გუნდმა.

დასასრულ გაიმართა ცეკვა, რომელმაც ღამის ოთხ საათამდე გასტანა.

წარმოდგენის შემოსავალი გადაიდება ქ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ.

⁂ კონსტანტინეპოლი. ამ დღეებში აქაურ ქართველ ახალშენლებს საუკეთოდ გამოესალმა პატივცემული მოღვაწე მოხუცი იაკობ თუმანიშვილი. ამ ოცი წლის წინად მას კარგი შეძლება ჰქონდა, მაგრამ ყველაფერი ღარიბებსა და უძლურთა მოახმარა; თითონ-კი საშინლად გაღარიბდა, მაგრამ გულიო ისევ მდიდარი დარჩა. განსვენებული დიდის პატივის ცემით დაასაფლავეს მისმა სიძემ პავლე გოზალაშვილმა და ნათესავმა ლუკა თუმანოვმა. დასაფლავებას ერთიანად დაესწრო აქაური ქართველთა ახალშენი.

ცხედარი ჯერ ამოსვენეს ქართველ-კათოლიკეთა ეკლესიაში, სადაც წირვა იქმნა გარდახდილი განსვენებულის სულის მოსახსენებლად. წირვის შემდეგ ცხედარი მიასვენეს ფრანგების სასაფლაოზედ, ს

ბა იყო აღძრული ბ-ნ ტფილისის გუბერნატორის წინაშე, რომელმაც უკვე მისწერა შულაველის მაზრის უფროსს ბ-ნ ლახოვსკის, გამოიძიეთ, რა საბუთით მფლობელობს ყალამქაროვი ამ მამულსაო. იმედია, ბ-ნი ლახოვსკი როგორც მაზრის უფროსი, ამ სასარგებლო საქმისათვის ჯეროვანს გულის ტკივილს გამოიჩენს.

როგორც შევიტყეთ, რატევანის ეკლესიის საქმის ხელ-მეორედ გამოძიება მიუნდვიათ მათის უსამღვდელოებისა, ეპისკოპოსის კირიონის თვის. იმედია მალე დაბოლოვდეს ეს საქმე.

სანატრელია სასულიერო წოდებამ შეჰკრიბოს ცნობები იმ ძველის ტაძრების შესახებ, რომლებიც ბორჩალოს მაზრაშია, რადგან, როგორც ეტყობა, ბევრი სხვა საეკლესიო ადგილ-მამულიც უნდა იყოს სხვათაგან დაჩემებული.

—შვილი

ბ-ნ სიმღერების ჩამწერთა სა ყურადღებოდ.

რადგანაც ამ უკანასკნელ დროში საერთოვნო სიმღერების შეკრების მრავალნი ეტანებიან (რის შედეგიც არის კრებულების გამოცემა), მსურს მივაქცეო ბ-ნთ სიმღერების შემკრებთა ყურადღება იმის, თუ რას უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს სიმღერების ჩაწერის დროს. ეჭვი არ არის, რომ ყოველ ახალდაწყებულ საქმეში შესაძლებელია სხვა და სხვა შეცდომა და რომ ეს შეცდომები აღარ განმეორდეს, ფრიად საჭიროდ ვცნობ მათ აღნიშვნას. ჩვენ კარგად ვიცით, რომ სიმღერა ერთ-ერთი ფორმაა, ხალხის გრძნობათა და აზრთა გამომხატველი, ვიცით, რომ იგი არის „შედეგი ცხოვრების სხვა და სხვა მოვლენათა. ამიტომ, მე მგონია, ყველასთვის ადვილად შესაგნები იქნება ის აზრიც, რომ სიმღერების საშუალებით ჩვენ შეგვიძლიან შევიდგინოთ ზოგადი წარმოდგენა ხალხის ისტორიის შესახებ. მაშ თუ სიმღერას ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს, საჭიროა ვიცოდეთ თუ როგორ უნდა მოვიქცეთ ამა თუ იმ სიმღერის ჩაწერის დროს. ყოველი სიმღერა, როგორც ვიცი, შესდგება მუსიკისა და ტექსტისაგან. მუსიკა ასე თუ ისე გამოხატავს ტექსტის შინაარსს; რადგანაც ჩვენს დროში ერი ხშირად მღერის ერთსა და იმავე კილოზედ სხვა და სხვანაირ ტექსტს, სრულად სხვა და სხვა ნაირ შინაარსისას, ამიტომ საჭიროა სიმღერების დამწერისთვის მეტის მეტი სიფრთხილე, საჭიროა გადასინჯვა ყველა ტექსტის და ჩაწერა მხოლოდ იმისი, რომელიც უფრო ეშესაბამება ჩაწერილ მუსიკას. შეიძლება შევხვდეთ იმისთანა მაგალითსაც, როცა არც ერთი, მომღერალთაგან ნათქვამი, ტექსტი არ უხდება ჩასაწერ კილოს. მაშინ ჩამწერმა უნდა მიჰმართოს მოხუცებს, ან იმისთანათ, რომელნიც ნამდვილ ტექსტს მოსძებნიან. მაგალითად მოვიყვან რამდენსამე სიმღერას, სადაც შევხვდებით აღნიშნულ შემთხვევას. ბ-ნ კარგარეთელის კრებულიდგან, იხილეთ მე-302 გვ,—სიმღერის ტექსტი გვიჩვენებს ნაღვლიანობას:

სვეტი ცხოველო-ცხოველო,
შენ სალოცავთ მოველო,
ამ ჩემ დაჩაგრულ ბუნებას
შენი წყალობა მოეო.

მუსიკა კი ამ სიმღერისა გვიხატავს სრულიად სხვას და არა ნაღვლიანობას. აგრეთვე შესაფერისი არ არის იქვე მოყვანილი შემდეგი ტექსტი:

მცხეთას სდგას ოქრის კუბოი,
შიგ ნათობს კელაპტარია,
შიგა წევს მეფე-ერეკლე
ბაგრატიონთა გვარია და სხ.

საკვირველი კიდევ ის არის, რომ მოყვანილ ამავე სიმღერის ტექსტთა შორის არავითარი კავშირი არ არის. ბ-ნ ჩხიკვაძის კრებულში (გვ. 27) არის მოყვანილი სიმღერა, რომლის ტექსტიც ხალხის გაჭირვებულ მდგომარეობას გაცნობებს. ეს ტექსტი ეკუთვნის ბატონ-ყმობის ხანას და კარგადაც გვისურა თებს ამ დროს. აი ტექსტიც:

სიმინდსა თოხნა დავუწყოთ
ერთ ხმათ დავძახოთ მუშური,
ეზებ მაშინ დაგვიგიწყდეს,
რომ ბლუნი ვართ უბედური.
მარტო ჩვენთვის არ ვმუშაობთ,
სხვისიც გვმართებს სამსახური.
ბატონი გვყავს, ვართ საწყალი,
უპატრონო, უბედური,
ყველა თავში გვიჩაჩუნებს—
გარეშე და შინაური;
ცხელსა მიწას უხვად აღბობს
ოფლი ჩვენგან მონაწური,
ჩვენის ჯაფით მონაყვანი
სხვასთან მიდის საზრდო პური,
შინ ცოლშვილს სიმშილი გვიკლავს,
მაგრამ ვინ მიუგდოს ყური?
მათსა საზრდოს სხვა იტაცებს,
სტირის ცოლი მეძუძური,
სიმშილისგან რძე უშრება,
წვიეს შვილი უსუსური!

მუსიკა კი სრულიად არ შეეფერება მოყვანილ ტექსტის შინაარსს. ბ-ნ კარგარეთელის კრებულში არის ორი ძველებური სიმღერა შესანიშნაი მუსიკის მხრიე. შესანიშნავია აქ როგორც თავისებური მელოდიური სიმშვენიერე, აგრეთვე განსაკუთრებული დიდებული სიმძლავრე, რომელიც გვიჩვენებს, რომ ეს სიმღერები შედგება ცხოვრების რომლისამე შესანიშნაეის მოვლენისა. პირველი სიმღერის ტექსტი ამას სრულიად არ გვიხატავს (გვ. 91):

ზამთარი ვარდსა დაეჭნობს,
ფურცელი ჩამოცვივიან,
ზაფხულში მზისა სიხლე
დასწვავს, გვალვასა სჩივიან,
ლამაზის ქალის თვალთაგან
ცრემლები გადმოცვივიან.

მეორე სიმღერასთან (გვ. 98) მოყვანილია რამდენიმე ტექსტი, რომელნიც არამც თუ არ არის მუსიკის გამომხატველი, არამედ მათ შორის არავითარი ლოგიკური კავშირიც არ არსებობს:

ბძანე და ბძანე, ბატონო
ხმალს ნუ უყურებ, ვეკაცო,
ხმალი ეშიერი მგელია,
გაგიპრის, გაგიხალისებს,
ბოლოს საფლავის მთხრელია.
სიბერე ძნელი ყოფილა,
სიი ქვას აეწონების,
დამჯდარა, ვეღარ ამდგარა,
ყავარჯენს დაეღონების.
ვეკაცსა გული რეინისა
აბჯარი უნდა ხისაო,
თვალნი ქორებულ მხედარნი,
მუხლები შევარდნისაო. *)

საკვირველი არ იქნება, რომ ტექსტები ამ ძველის სიმღერებისა და კარგული იყოს, რადგანაც, ვინ იცის, რამდენმა წელმა ჩაიარა, რაც ეს სიმღერები იყო გამოგონილი, და ახლაც თუ ჩვენს თვალ-წინ დაიკარგა ტექსტები უფრო ახალის სიმღერებისა, რასაკვირველია, ჩვენი შთამომავლობაც ამისთვის მადლობას არ გვეტყვის. სირცხვილიც იქნება ჩვენთვის მას შემდეგ, რაც ჩვენ შევიგენით, რა დიდი მნიშვნელობა აქვს სიმღერის ტექსტსა.

ზოგიერთი ტექსტი რომ იკარგება, ამას გვიმტკიცებს, მაგალითად, სიმღერები, მოყვანილი ბ-ნ კარგარეთლის კრებულში №№ 23 და 24, სადაც საერო ტექსტის მაგივრად ჩაწერილია თხზულება ორბელიანისა

1) ეს ვინ გამოხნდა, ვისი აჩრდილი და სხ.
2) ზეცას წყალობად ნუგეშად
ივერსა გაუხრეშულსა და სხვა.

ვინ არის დამნაშავე ამ ტექსტების განგებ შეცვლისა?—იკითხავს მკითხველი. რასაკვირველია ყველა ის კულტურ-ტრეგერები ახალის ფორმაციისა, რომელებსაც შემოაქვთ ერში სხვა-და-სხვა ნაირი ტარა-რაბუმბიები და მუსიკა, როგორც მაგალითად შემდეგის ტექსტისა:

მაკოცეთ ერთი, იწამეთ ღმერთი,
მზათ ვარ ხელად, საკოცნელად.

განგებ სჩადიან ამას, თუ უნებურად, ამას ვერ ვიტყვი; მხოლოდ ვიტყვი, რომ ამისთანა მოვლენა მეტისმეტად სამწუხარო მოვლენაა. ამ სიმღერების გარდა ბ-ნ კარგარეთლის კრებულში არის კიდევ ერთი სიმღერა № 5 (იგივე სიმღერა ჩაწერილია ბ. ჩხიკვაძის მიერაც), სადაც საერო ტექსტის მაგივრად ჩაწერილია აკაკის ლექსი

„დღეს მერცხალი შემოფრინდა“ და სხვა.

ეს ნაკლი მარტო ბ. კარგარეთელის კრებულს არა აქვს, არამედ სხვებსაც, მეტადრე ბ-ნ ჩხიკვაძისას. ამ შეცდომების აღნიშვნით მე სრულიად არ მინდა დავამცირო რომელისამე კრებულის მნიშვნელობა. პირიქით ჩემის აზრით მათ დიდი მნიშვნელობა აქვთ და კეთილს საგანსაც ემსახურებიან. მაშასადამე, პატივსაცემი ყველა, ვინც-კი ილეწს ამ ასპარეზზედ. მხოლოდ სასურველია ეს კეთილი საქმე კეთდებოდეს ისე, რომ გარეშე კაცს არ მოუნდეს ამ საქმეში გარევა, ან დამთავრება. ახლა, მაგალითად, ახალს სიმღერების შემკრებს შეუძლიანა აღნიშნა და შესწორება კრებულების ყველა შეუფერებელ ტექსტისა, თუ თვით ამ კრებულების ავტორნი არ შეუდგებიან ამას. ამ გვარად, საქმეს ორ-ნაირი შრომა დასჭირდება, რაც სასურველი არ არის.

საერთო საქმის სასარგებლოდ, რადგანაც ამ კითხვას დიდი მნიშვნელობა აქვს, ვთხოვ ბ-ნთ სიმღერების შემკრებთ და ყველა იმათ, რომელებსაც სურთ გამოცემა რაიმე სიმღერებისა, ჯერ ყოველის მხრით გადაათვალიერონ ხოლმე სიმღერების ტექსტი და მხოლოდ შემდეგ შეუდგნენ მათს გამოცემას.

ამითი საერო სიმღერების ბ-ნნი შემკრებნი მოუტანენ სარგებლობას არა მხოლოდ მუსიკას, არამედ საერო სიტყვიერებასაც.

დიმიტრი არაყიშვილი

*) რადგანაც ნოტების მოყვანა ლექსის შინაარსის და კილოს შეუფერებლობის დასამტკიცებლად შეუძლებელია აქ, ამიტომ მხოლოდ ტექსტს ვსახელებ.

დამაკვირდი

ზოგიერთს ნასწავლს რომ გეუბნებ, გეოცებული კითხავ: ღმერთო, რა უნდა ეფიქლიეო, სწავლა რომ არ მიყოფ?!!

ს. ყ—ნი

* * *

ᲐᲠᲐ ᲣᲧᲝᲤᲚᲘᲐᲜᲘ ᲒᲐᲜᲐᲬᲧᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲛᲘᲜᲓᲝᲚ ᲘᲧᲝ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲣᲬᲧᲔᲢᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲚᲐᲡ ᲘᲡᲘᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲮᲘᲡᲓᲔᲑᲚᲔᲑᲡ.

ლასურიძე

ᲟᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ

(ამოკრებილი ამბები)

როდესაც ნესტორ როკაპლანი „Yarietes“ თეატრის დირეკტორად ყოფილა, მასთან იმ დროის შესანიშნავი კრიტიკოსი მისული და თავისი პიესა მიუტანია წარმოსადგენად. პიესა მტკად უზეირია გამომდგარა, მაგრამ დირეკტორს ვერ შეუბედნია და ავტორისა თვის უკან ვერ დუბრუნებია, რადგანაც ეშინოდა ისეთის ძლიერის კაცის გადამტერებისა, როგორც ეს კრიტიკოსი და თეატრის მატიანეების დამწერი იყო. ამიტომ ბევრის ფიქრის შემდეგ ასეთის ხერხისთვის მიუბართავს. მესამე დღეს მისული კრიტიკოსთან და უთქვამს.

— წაეკითხე თქვენი პიესა; შეუდარებელი რამ არის, ამიტომ დიდად გმადლობთ, რომ პატივი მეცით და მე მომიტანეთ იგი წარმოსადგენად, მაგრამ ამისდა მიუხედავად, იძულებული ვარ უმორჩილესად გთხოვოთ, არ წარმომადგენინოთ ეს პიესა.

— რათა?—წამოიძახნია გაკვირვებულ კრიტიკოსს.

— იმიტომ, რომ პიესაში, რასაკვირველია, შემთხვევით, აგიწერიათ ჩემ ოჯახში მომხდარი დრამა. ეს ამბავი-კი არ მინდა გამოვაქვეყნო და ხალხს გავაგებინო.

— ნუ თუ!..

— დიაღ, წარმოიდგინეთ ჩემი მდგომარეობა: თუ ეგ პიესა დავდგი, მეორე დღესვე ჩემის ოჯახის ერთი წევრი თავს მოიკლავს და ვინ იცის კიდევ რა მოხდება, რასაკვირველია, თუ თქვენ მაინცა და მაინც მოისურვებთ, მე სიამოვნებით ავასრულებ თქვენ თხოვნას და პიესას წარმოვადგენ; მაგრამ იმედი მაქვს, რომ გულ-კეთილობას გამოიჩენთ და ჩემს მდგომარეობაში შეხვალთ.

კრიტიკოსს საშინლად შეჰბრალებია დირეკტორი, პიესა უკანვე წაუღია და სხვა თეატრში გადაუცია. მაგრამ წარმოდგენის დროს ხალხს ეს პიესა არ მოსწონებია და ავტორი მხოლოდ სტვენით დაუჯილდოვებიათ.

* * *

ამერიკის შტატ დაკოტის ადგილმბრიმბა მთავრობამ ამას წინად გადასწყვიტა მკურნალის გაუსინჯავად ამ შტატის არც ერთს მცხოვრებელს არ მისცეს ქორწინების ნება. ამიერიდგან ვისაც ცოლის შერთვა ან გათხოვება ენდომება, უნდა ჯერ მკურნალის მოწმობა აიღოს და მერე ჯვარი დაიწეროს. ამასთან უკვე გადაწყვეტილია ცოლის შერთვის ან გათხოვების ნება არ მისცენ არა მარტო ეპილეპტიკებს, ალკოგოლიკებს, ბენეკიანებს, არამედ იმათაც-კი, ვისაც ისტერია და სხვა ამ გვარი სენი სჭირთ.

* * *

არც ჯრის სახელმწიფოში არ მოიპოვება ისეთი უზარმაზარი ორთქმავალები (ლოკომოტივი), როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამერიკელები, ხარჯის შესამცირებლად, ორ ან სამ ორთქმავალის მაგიერ ერთსა ჰბენარობენ, მაგრამ იმდენად დიდს, რომ ორსა და სამსა ჰკარობს. ამას წინად ამერიკელებმა მოამზადეს ორი შტატად უზარმაზარი ორთქლმავალი. თითო ორთქმავალს თავისუფლად მიაქვს 166 ვაგონი, ხარბლოთ ან სხვა რითიმე დატვირთული. სიგრძე ასეთის მატარებლისა 1732 მეტრია ანუ ერთს ვერსტზედ გაცილებით მეტი.

* * *

როგორც გაზ. New-York-Staats-Zeit.-ი იუწყება, მეგვილში ახალი ებრაამი აღმოჩენილა,—ვინმე მდგარდ შელლმანი, 50 წლის ფერმერი. ებრაამის მიერ თავისს შვილს მსზვერპლად შეწირვა ამ კაცს მოსვენებას არ აძლევდა და სულ იმას გაიძახოდა თურმე, რომ ყოველი ქრისტიანნი ვალდებულნი ებრაამივით მოიქცეს და მზად იყოს არ დაინდოს თავისს ოჯახის წევრი მსზვერპლის შესაწირავად. ამას წინად ედვარდ შელლმანი ტყეში წასულა შეშის მოსატანად; თან შელლმანს თავისი 12 წლის შვილი წაუყვანია. ტყეში, ერთ მიყრეებულ ადგილას, გაუხდია ბავშვისთვის ტანისამოსი, დაუწვენია და სამს ადგილას დაურტყაეს დიდი დანა. ბავშვი ბევრს ეხვეწა თურმე, მაგრამ მამამ ყურადღება არ მიაქცია. ბოლოს ბავშვის ყვირილზედ, „იქვე მყოფი მონადირენი მისულან და დანა წაურთმევიათ შელლმანისთვის. საწყალი ბავშვი მალე გარდაიცვალა. როგორც აღმოჩნდა, შელლმანი სულით ავადმყოფი ყოფილა.

* * *

ამას წინად რამდენიმე მაგალითი მოვიყვანეთ იმისა, თუ ცხოველები რაოდენ ჭკუასა და მიზეზერლობას იჩენენ, ეგრეთვე იმისა, თუ თავიანთ შვილებისათვის როგორა ზრუნავენ ხოლმე. სხვათა შორის ასეთ მზრუნველობასს შვილების გულისთვის ქვეშ-ძრომნი და მათში გველებიც იჩენენ ხოლმე. ზოგმა გველმა იცის, როდესაც განსაცდელი მოელის, თავისს წიწილებს პირში დიიმალავს ხოლმე. ზოოლოგი პეიკი მგზავრობის დროს უზარმაზარ გველს შეჰხვედრია. გველის წინ არხეინად დაცოცავდნენ თურმე ნეიდმტი ამ გველის წიწილა. დაუნახავს თუ არა მომავალი კაცი, შეშინებულს გველს სისინი დაუწყია და პირი დაუღია, იმ წამსვე წიწილები გაკანტნულან და პირში დამალულან; როდესაც ყველანი შემძვრალან, დამძიმებულ გველს პირი მოუკუმავს. პეიკს უსარგებლნია ამ გარემოებით, გველი ცოცხლად დაუჭერია და გალიაში ჩაუსვამს. მხოლოდ რამდენისამე ხნის შემდეგ დამშიდებულს გველს გამოუშვია პირიდგან ასევე იქცეოდა თურმე; ეს გველი შემდეგაც ასევე იქცეოდა თურმე; როდესაც მიაღლოვებულ კაცს დაინახავდა, სისინს იწყობდა, პირს აღებდა და თავისს შვილებს იქა ჰმალავდა.

ახალი წიგნები

ამ დღეებში წერა-კითხვის საზოგადოების მაღალიამ მიიღო ლეიბნიზედგან გასასყიდად ეს თხზულება ბ-ნ არტურ ლეისტისა გერმანულს ენაზედ შემდეგის სათაურით: Georgische Dichter (ქართველი მწერლები).

წიგნი იწყება წინასიტყვაობით, რომელშიაც დახასიათებულია ქართული პოეზია, ქართველი პოეტები. ავტორი ამას გარდა მოკლედ შეეხება ქართველ პროზაიკებს, ბელეტრისტებს, ისტორიკოსებს, პუბლიცისტებსა და პედაგოგებს.

ლექსები იწყება გრიგოლ ორბელიანიდგან, რომლისაც გადმოთარგმნილია ცხრაზედ მეტი ლექსი; შემდეგ ნათარგმნია ცხრა ლექსი ალექსანდრე ჭავჭავაძისა; თერთმეტი ლექსი—ნიკოლოზოს ბარათაშვილისა; ცხრამეტი ლექსი—ილია ჭავჭავაძისა; თექვსმეტი—აკაკი წერეთლისა; ოთხოთხი ლექსი ვახტანგ ორბელიანისა და რაფიელ ერისთავისა; ათი ლექსი ლუკა რაზიკაშვილისა; ხუთი ლექსი—ნიკოლოზოს რაზიკაშვილისა; სამი ლექსი—დომინიკა მდივანისა; ორი ლექსი სიმონ მაისაშვილისა და თითო ლექსი: ევდოშვილისა, გიორგი ერისთავისა, მამია გურიელისა, თედო რაზიკაშვილისა, მაჩხანელისა, გ. ვოლსკისა, დუტუ მეგრელისა, ვლადიმ. მიქელაძისა, ნინო ორბელიანისა და დავით გურამიშვილისა.

ამ პოეტების ლექსები რომ თავდება, ზედ მოსდევს ავტორის აზრი ჩვენ ხალხურ პოეზიაზედ და გადმოთარგმნილია ოცდა ცხრამეტი ხალხური ლექსი. წიგნი თავდება ვეფხისტყაოსნის საუკეთესო ლექსების თარგმნით.

ეს თხზულება შეიცავს ორასზედ მეტს გვერდსა; დაბეჭდილია ჩინებულ ბრისტოლის ქაღალდზედ, მშვენიერის ლათინურის შრიფტით და შემკულია ძველის ქართულის ორნამენტებით. ალგა-ალაგ, სადაც თავდება რომელისამე პოეტის ლექსები, გვერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დის ბოლოში, ჩართულია პაწია მინიატურული სურათები ქართველ ქალებისა, კაცებისა და აგრეთვე სხვადა-სხვა ჩვენებური ლამაზნივთიულობისა.

წიგნი ღირს ტფილისში მანეთად და ხუთ შაურად.

ეს წიგნი სწორეთ ღირსია, რომ დაამშვენოს ყველა განათლებულ ქართველის წიგნთ-საცავი. ფრიად საჭიროა, რომ აზრი ბ-ნ ლეონტისა ქართულ პოეზიისა, პოეტებისა და სხვა მწერლების შესახებ გადმოთარგმნილ იქმნას ქართულად, რათა ყველა ჩვენებურს შეეძლოს გაიცნოს ის ობიექტიური მსჯელობა ჩვენ მწერლობაზედ, რომელსაც ავრცელებს განათლებულს ევროპაში პატივცემული ავტორი.

ქართველი

გამოსაადეგი ცნობა

—

მაკარ სასმელებისაგან კეთილშობილ ადამიანის მოსასულდგურებლად კარგად დაალაგებოთ შაკი ყავა ლიმონით და აგრეთვე ჩაესხა ერთი ან ორი კოვზი გოფმანის კაპლა ანუ რამდენიმე კოვზი ღვინის სპირტი, ხოლო თავსა და ხერხემალზედ ცივი წყალი დასხა.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა საგენტოსაგან)

7 თებერვალი

ჩინეთი. ხუთშაბათს ინგლისის ჯარი ყუმბარებს ესროდა ტრის სიმაგრეებს. ინგლისელები, რომელთაც იფარავდა არტილერიის ცეცხლი, გუსარენბურგიდგან გავიდნენ და სიმაგრეები დაიჭირეს დაბალ გორაკების გასწვრივ, რომელთაც ეწოდება რედ-ბელტი. პარასკევს ტტერმა რამდენიმე ყუმბარა ჩამოაგდო გუსარენ ბურგში, სადაც ბულლერის უმავრესი ბინაა. არტილერიის ცეცხლი არ შეწყეტილა მთელი დღის განმავლობაში, ხოლო საღამოს ინგლისელებმა იძულებულ ჰყვეს ბურები უკან დაეწულყვნენ. ამავე დროს ლიტტელტონი მიდიოდა მარჯვენა მხრიდგან მაღლა მთაში. ინგლისელების არტილერია განუწყეტელად ყუმბარებს ესროდა მონტეკრისტოს. ლოდიტს ყუმბარებმა დიდი ზიანი მოახდინა. ტტრის დიდი ზარბაზნის ხმა შეწყდა ნაშუადღევს და, უთუოდ, ტუგელს გაღმა იქმნა გადატანილი. პარასკევს ღამით ბრიტანეთის ჯარებმა წინ წაიწიეს მაღლა მთისაკენ ორ სიარდის მანძილზე.

ლონდონი საღამოს გაზეთებს ატყობინებენ მოდდერ რივერიდგან 6 თებერვალს, რომ, აქ მოსულ ცნობების მიხედვით, კოლლი-კენნის დივიზია მისდევდა ბურებს და კიდევ დაინარჩენა ნადავლიო. დღემდის 150 ფურგუნი მოსტაცა ტტერს და აგრეთვე მრავალი საბის კვირტე ეუტის ყოლოფები, პატრონებით სავსე, რომელნიც დელაგოას ნავთსადგურიდგან პრეტორიაში იყო გაგზავნილი.

დურბანი. როგორც ამბავი მოვიდა ზულუების ქვეყნიდგან, ბრიტანეთის მზეერავ ჯარს, რომელიც ამას წინად სამხრეთისაკენ უნდა დაბრუნებულიყო, ბურების ძლიერ რაზმების მისვლის გამო, ცხენოსანთა ჯარი და არტილერია მიუვლია.

იაკობსდალი. მოსულ ცნობებიდგან სჩანს, რომ უკან დახეულ ბურების ლაშქარი მწყობრად მიდის თურმე და ერთი მეორეზედ გოროკების ამაგრებს, რათა წინ წასვლის შეძლება მიეცეთ ურმებს, რომელთაც, რადგან მათში გაბმული საქონელი დაღალულა, ჩქარა სიარული არ შეუძლიანთ.

ლონდონი. ლედისმიტიდგან იუწყებიან გელიოგრაფის საშუალებით, რომ როცა აქ ამბავი მოვიდა ფრენჩის გამარჯვებისა და კიმბერლეის განთავისუფლების შესახებ, სიხარული მოეფინა მთელს ქალაქსაო. მეციხოვნე ჯარი კარგს გუნებაზეა და მზად არის ყოველგვარ მოქმედებისათვის. უკანასკნელს დღეებში ბურები დიდს მოძრაობაში არიანო.

„Daily Mail“-ს აუწყებენ ჩიველიდგან 6 თებერვალს, რომ ბრიტანიის ჯარები წინ მიდიოდნენ მთელი კვირა დღის განმავლობაში და საღამოს მათს ხელში იყო სინგლოს სერიო. მონტეკრისტოზე რამდენიმედ ასულნი არიანო. ბურების არტილერიისაგან პირველად გამოსროლილი ეს გირვანქიანი ყუმბარა ჩამოვარდა ინგლისელების მეზარბაზნე 10 კაცს შუა, ერთი დასჩრა და ოთხი მოჰკლა. უკანასკნელი სამი დღის განმავლობაში ინგლისელებმა დაჰკარგეს სულ 81 კაცი.

„Standard“-ში სწერია: „ომის გათავება თუ მოსალოდნელი არ არის ახლოს მომავალში, ყოველ შემთხვევაში იმის დანახვა ეხლაც შესაძლებელი არის“.

„Times“-ი ამბობს: „სანამ არა ვიცით რა, თუ რა მოუვიდა კრონიეს ჯარს, რომერტსის გამარჯვების შესახებ გარდაწყვეტითი რისიმეს თქმა შეუძლებელია. კრონიეს ცხენოსანი ჯარის დიდი ნაწილი, უთუოდ, თავს უშველის, მაგრამ ურმები და სურსათი ხელში უნდა ჩაუვარდეს ჩვენს ჯარს“.

„Daily News“-ს ატყობინებენ კაპშტადტიდგან 6 თებერვალს, რომ რობერტსმა პროკლამაცია გამოსცა ორანეეს რესპუბლიკის ბურებისადმი, რომელშიაც ამბობს, რომ ბრიტანიის მთავრობა არ ჭიქრობს, ბრიტანეთის სამფლობელოს შემოსევოდნენ ორანეეს ჯარები მსოფლიოს საერთო თანხმობით. ის იმ აზრის არის, რომ შემოსევაში პასუხის მგებელია ორანეეს რესპუბლიკის მთავრობა, რომელიც მოქმედებდა სხვების გაგზავნით. დიდი ბ ი ტანია მტრულად არ უყურებს ორანეეს ბურებს და ის სცდილობს დაიფაროს ისინი მათი მთავრობის უკანონო მოქმედების ცუდი შედეგისაგან. დასასრულ რობერტსი ურჩევს რესპუბლიკის მოქალაქეთ, ამის შემდეგ თავი დაანებეთ ინგლისის მტრობასაო.

პეტერბურგი. 7 თებერვალს მათი ფლიდიბულესობანი მიბრძანდნენ პაღის კორპუსში.

7 თებერვალს წვიდა ჰერცოგი ალფრედ საკსენ-კობურგ-გოტსკისა; ის გააცილეს ხელმწიფე იმპერატორმა, დიდმა თავრეებმა და გარეშე საქმეთა მინისტრმა.

8 თებერვალი

ლონდონი. ბულლერი იუწყება ჩიველიდგან, 7 თებერვალს, რომ მტერი გავრეკე სიმაგრეებიდგან ტუგელის მეორე მხარესო. ინგლისელებმა აიღეს რამდენიმე ბანაკი, ამასთანავე მათ დარჩენ რამდენიმე ფურგუნი სურსათით სავსე; ტყვედ წამოიყვანეს რამდენიმე კაცი. ძლიერი სიცხეებია.

სტერკტროომიდგან იუწყებიან, რომ ბურები უკან იხვევენ და ამის გამო გენერალ ბრამატის დივიზია დორრეტში შედგა.

არუნდელი. გენერალი ბრეტორიუსი და ბურების სამი დაპრილი ეუიცერი დღეს აქ ბურებს გარდაეცათ.

ლონდონი. „Evening News“-ს ატყობინებენ იაკობსდალიდგან 6 თებერვალს, რომ ფრენჩმა ჯარი შემოარტყა ბურების ბანაკს დრონფილდში, კიმბერლეის ჩრდილოეთ მხარეს, და ყუმბარებს ესროსო.

ბასერუ, (ბურების ქვეყანა). ორანეეს რესპუბლიკის ბურებში საოფლ მძვინვარებს; განსაკუთრებით ბევრია ავათ კიმბერლეის ქვემოთ და კოლსბერგში მყოფ ჯარში. ტრანსვაალის მმთავრობა დიდძალ ჯარს ბეზავნის ორანეეს რესპუბლიკაში.

ლონდონი. ბურების მთავარ ბანაკიდგან, ლედისმიტის ქვემოთ, იუსყებიან 4 თებერვალს, რომ გუშინ ინგლისელებს უნდოდათ თავი მოეკლოთ მათთვის, ცდილობდნენ გაეცლოთ იმ ადგილს, სადაც ტუგელი უერთდება ბლაუვკრანცს და აეღოთ ბოშკოპიო. კოლენზოსთან ბურებმა უკან დაბეზეინეს მათ. ბურების ჯარებმა შეინარჩუნეს იქ ყველა თავიანთი სიმაგრეები და იმათ მხრივ მსუბუქად დაიჭრა სამი კაცი; ინგლისელებმა რამდენი კაცი დაჰკარგეს, ცნობილი არ არის. ლედისმიტის გარშემო მყუდროება სუფევს. ერთი დღის შემდეგ ამბავი მოვიდა, რომ გუშინ, პარასკევს, ინგლისელები ზარბაზნებს ესროდნენ ბურების სიმაგრეს ბოშკოპთან. ზარბაზნების სროლა არ შეწყეტილაო.

პრეტორია. როგორც ისმის, კიმბერლეის ახლოს დიდი ბრძოლა მომხდარა. უკანასკნელად მოსულ ცნობებით, ბურები კრონიეს უფროსობით გამაგრებული არიან თავიანთ ბანაკებში, გუშინ კორფონტენთან ბურებმა ნადავლი დაინარჩუნეს, რომელიც შესდგებოდა სამი-ოთხი ათას რქიან საქონლისა და მრავალ პოვოსკებისაგან, იმათ რიცხვში 18 სურსათით სავსე, რომელიც კიმბერლეიში გასაგზავნად იყო მომზადებული. ამბობენ, რომ ბურებმა ბეგრი ტყვე წამოიყვანესო.

ბერლინი. „Deutsche Zeituug“-ს დეპეშით ატყობინებენ ლონდონიდგან, რომ შაბათს, ღამით, რობერტსი იძულებული იყო დროებით შეეჩერებინა თავისი ჯარის მოძრაობა მოდდერის ჩრდილოეთ მხარეს. რამდენიმედ იმის გამო, რომ არ იცოდა მტრის მოძრაობა, რომელიც ორად ჭყოფს ინგლისის ჯარებს და სიაში მდგომარეობაში აყენებს არ შეტყუელოს ისინი სახიფათო ადგილას. რამდენიმედ იმის გამო, რომ ძლიერმა წვიმებმა აიღიდა პატარა მდინარეები, გზებზედ გავლა შეუძლებელია და ამის გამო არტილერიის წინ წაყვანა არ შეიძლება; ცხენებს და კაცებს არაქათი გამოელეათო.

მეექვსე დივიზია შეეკრა თხოულობდა. რათა აიღოს ძლიერ გამაგრებული სერები რომე ნიც ბლუმ ფონტეინში მიმავალ გზას დაჭყურებს, და რომელნიც კელი-კენის მოძრაობას წინ ედგებიან. იმასთან საშველად გაგზავნილ იქმნა მეცხრე დივიზია.

ლონდონი. „Standard“-ს დეპეშით ატყობინებენ იაკობსდალიდგან 4 თებერვალს: 1,400 ბური თავს დაესხა უმთავრესი ჯარების რაზმს. იმთ მოსტაცეს ინგლისელებს რამდენიმე ფურგუნი. რობერტს არ შეუჩერებია თავისი ჯარის მოძრაობა ფურგუნების დასაბრუნებლად. ინგლისელების მხრივ რამდენიმე კაცი მოკვდა.

„Times“-ში შემდეგი დეპეშაა დაბეჭდილი, მოდდერ-რივერიდგან გამოგზავნილი 6 თებერვალს: „კრონიეს ლაშქარი, რომელსაც 1000 ფურგუნი მისდევს უკან კლაპტ-ფონტეს და დრიტოუტს თავს დაესხა; ცხადია ეს დასაწყისია ბრძოლისა, რომელიც თითონ ბლუმფონტეინამდე მოხდება. ჩვენ ვაწვებით ბურებს მთელი ჩვენი ქვეითა და ცხენოსანი ჯარებით, რომელნიც კიმბერლეიდგან გამოეიდნენ. სამხედრო საქმის კარგად მცოდნენი თანხმანი არიან ერთი მეორისა, რომ თუმცა რობერტსის გალაშქრება, რამდენადაც ის კიმბერლეის ეხებოდა, კარგად დასრულდა და თუმცა საქმის მდგომარეობა შესამჩნევად შეიცვალა ინგლისელების სასარგებლოდ, ბაგრამ ცხადია, რომ ძლიერი ომი მხოლოდ ეხლა იწყება და კიდევ მრავალი დაბრკოლება უნდა ვსძლიოთ, სხვათა რორის, სიძნელე საშიშარ ადგილების გავლისა მტრის ქვეყანაში, ამასთანავე გძელს გზებს, რომლებმაც ინგლისის რაზმები ერთმანეთს უნდა დაუკავშირონ, მტერი მოსვენებას არ მისცემსო.

სასამართლოს ცნობები

ტფილისის სამოსამართლო პალატაში შემდეგი საქმეები განსახილველად დანიშნული:

სამოსამართლო პალატის სასხდომა სამართლის პირველ დეპარტამენტში

12 თებერვალი

გიორგი ზაქარიასი, რომელსაც ქურდობა ეგება ბრალად.

სონა ეუბ-ყიზისა, რომელსაც თავისის ქმრის მოკვლა ჰბრალდება.

გიგო ფილიშვილისა, რომელსაც კაცის კვლა ჰბრალდება.

ერასტო და ბასა ჭორდავაებისა, რომელთაც კაცის კვლა ჰბრალდებათ.

სეროფინ თალაკვაძისა, რომელსაც სასჯელთა დებულების მე-270 მუხ. აღნიშნული დანაშაულის ბრალი ედება.

15 თებერვალი.

მღვდლის გიორგი ამბრაზეშვილისა, ივანე კოკაშვილისა და იოანე ქიტიაშვილისა, რომელთაც სასჯ. დებულების მე-115, 1668 და 121 მუხ. აღნიშნულ დანაშაულის ბრალი ედებათ.

სვეტტი, გიორგი და სხ. გოგოლაშვილებისა, რომელთაც გაძარცვის ბრალი ედებათ.

26 თებერვალი

ილიკო წერეთლისა, რომელსაც სასჯ. დებულების მე-1656 მუხ. აღნიშნულ დანაშაულის ბრალი ედება.

მიხეილ ლაშისა, რომელსაც კაცის მოკვლის განზრახვის ბრალი ედება.

ოსია ხაქაოვშვილისა, რომელსაც ნებადაუთრთველად არაყის გამოხდის ბრალი ედება.

ერმოლაოზ მეგრელიშვილისა, რომელსაც სასჯ. დებულების მე-1643 მუხ. 1 ნაწ. აღნიშნულ დანაშაულის ბრალი ედება.

ფიდო გაბელიასი, რომელსაც სასჯ. დებულების მე-1484 მუხ. 2 ნაწ. აღნიშნულ დანაშაულის ჩადენის ბრალი ედება.

მღვდლის გიორგი აბრიაშვილისა, იაკობ ქიტიაშვილისა, წყალობ ფიდგაურისა და ივანე კოკაშვილისა, რომელთაც სასჯელთა დებულების მე-115, 1668 და 131 მუხ. აღნიშნული ბრალი ედებათ.

მესამე სამოქალაქო დეპარტამენტში

12 თებერვალი

იმ დავის საქმენი, რომელიც აღიძრა სეკაკის მაზრის აგარაკ „სახარბედიო“-ს გამიჯვნის დროს.

26 თებერვალი

დავანი, აღძრულნი შორაპნის მაზრის აგარაკ დიდ-ვეღნი—თერჯოლას და ახალ-ციხის მაზრის ლეკანის საზოგადოების აგარაკის გამიჯვნის დროს.

ᲬᲘᲠᲘᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ

—

მადლობას ვუცხადებ დაბა ხობის მოვაჭრეს თენგიზ კორტავას, რომელმაც შემოწირა ხორგის ეკლესიის სადღესასწაულო 10 მ.ნ. ღირებული.

მღვდელი ნიკოლოზ დათუაშვილი

—

უფრმეს მადლობას ვუცხადებ ბ-ნთ ანტონ გოგაშვილს, იოსებ ლეკვაკს, ბ-ნ ინასარიძეს და ბ-ნ ზარაფშვილს, რომლებმაც კეთილ ინებეს და მონპელიეში ახლად დარსებულ ქართულ წიგნთ-საცავს სხვა-დასხვა წიგნები შემოსწირეს.

მონპელიის ქართულ წიგნთსაცავის გამგე

ვლადიმერ ცხადაძე

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

პეტერბ. სამკურნალო გამგეობის ნება რთვით. დიდი კოლოფი ღირს 5 მან., პატარა კოლ. —3 მან. და 1 მ. 50 კაპ.



ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲣᲨᲐᲚᲔᲑᲐ

თმის გასაზრდელად და გასამაგრებლად, რომელიც აგრეთვე ქერტლსაც აკრთობს. შემდეგ, გამოვიდა კიდევ ახალი საშუალება

„ᲙᲕᲔᲠᲪᲮᲘᲡ ᲠᲫᲔ“

სახის გასანაზრდელად და გასათორებლად. „ყვერცხის რძე“ არჩენს მზისაგან ლამშვარს კაეს, სპობს მუწუკებს, არბილებს კანს. **ᲨᲐᲜᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲔᲚᲔᲛᲘᲡᲐᲜᲕᲔᲓᲘᲜᲘᲐ:** დიდი ბოჭკა —2 მან; პატარა—1 მან. 50 კაპ. იყიდება ყველა საპარფიუმერო და სააფთიქო მაღაზიაში. მთავარი საწყობი არის პეტერბურგში, პუშკინის კუჩაზედ №15, სადგ. 12. საწყობს განყოფილებანი აქვს ტფილისში—ერევნის მოედ. სააფთიქო საქონლის საავარო ამხანაგობაში და ბაქოში, იყიდება აგრეთვე ხაფხეზედ პოპოვისა და არისტაკოვის სააფთიქო მაღაზიაში.

ქალაქ გარეთ მცხოვრებთ დაუყოვნებლივ პოსტით გაეგზავნებათ. (100—150—74

Дозволено цензурою, Тифлисъ 8 Февраля 1900 г. სტამბა ᲕᲐ. ᲫᲐᲠᲐᲫᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲕᲘᲚᲘᲡᲬᲝᲚᲘᲡ რედაქტორ-გამომცემელი ᲘᲚᲘᲐ ᲩᲐᲕᲩᲐᲕᲐᲫᲔ